ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

N 23 ქ. ბათუმი
15/02/2018

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

23-11-4-201802151949

„თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 14 სექტემბრის №50 ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოსამზადებლად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106[1]-ე მუხლის, „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონისა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტი - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების" შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 14 სექტემბრის №50 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში დადგენილების პროექტი) მოსამზადებლად დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება.

2. დაევალოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას უზრუნველყოს დადგენილების პროექტის მომზადება და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოსადმი დასამტკიცებლად წარდგენა.

3. დადგენილების მომზადებისა და გამოცემისას გამოყენებულ იქნეს საჯარო ადმინისტრაციული წარმოებისათვის დადგენილი წესები.

4. დადგენილების პროექტის თაობაზე მოსაზრებების წარდგენის ვადა განისაზღვროს დადგენილების პროექტისა და ადმინისტრაციული წარმოების შესახებ ცნობის გამოქვეყნებიდან 20 დღის ვადაში. აღნიშნულის თაობაზე განმეორებით მიეთითოს ასევე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106[2]-ე მუხლის შესაბამისად გამოქვეყნებულ ადმინისტრაციული წარმოების შესახებ ცნობაში.

5. დადგენილების პროექტის თაობაზე მოსაზრებების წარდგენის ვადის გასვლიდან 5 დღის ვადაში განსახილველ საქმეზე გაიმართოს ზეპირი სხდომა.

6. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 116-ე მუხლის შესაბამისად ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე და გაზეთ „აჭარა“-ში გამოქვეყნდეს ცნობა საჯარო გაცნობისათვის დოკუმენტების წარდგენის შესახებ.

7. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 117-ე მუხლის შესაბამისად წინამდებარე განკარგულების საჯაროდ გაცნობისათვის წარდგენის მიზნით იგი გამოქვეყნდეს ქ.ბათუმის მერიის ინტერნეტგვერდზე და გაზეთ „აჭარა“-ში.

ასლის
დამოწმება
№1

8. წინამდებარე განკარგულება წარმოადგენს ადმინისტრაციული წარმოების საკითხთან დაკავშირებით მიღებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და იგი არ ექვემდებარება ცალკე გასაჩივრებას.

9. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

სულიკო თებიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ასლის
დამოწმება
№1

პროექტი

ქალაქის ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №.....

2018 წლის ... ., ქალაქი ბათუმი

„თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 14 სექტემბრის №50 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძველის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ჟ“ ქვეპუნქტის და 26-ე მუხლის მე-3 პუნქტის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო ა დ გ ე ნ ს :

მუხლი 1.

„თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 14 სექტემბრის №50 დადგენილებაში (გამოქვეყნების წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი: 14/09/2012, სარეგისტრაციო კოდი: 330090020.35.132.016140) შეტანილ იქნას ცვლილება და დადგენილების მე-4 მუხლის 4.6. პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) მიწის ნაკვეთზე განაშენიანების მაქსიმალური სიმაღლე - 12 მეტრი;“

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე სულიკო თებიძე

ასლის
დამოწმება
№1

ცნობა

საჯარო გაცნობისათვის
დოკუმენტების წარდგენის შესახებ

ადმინისტრაციული ორგანო, რომელშიც მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება და მისამართი – ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოში (მის: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. №25, მეორე სართული) მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ" თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2012 წლის **14 სექტემბრის №50 დადგენილებაში** ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად.

ადმინისტრაციული ორგანო, სადაც შესაძლებელია ადმინისტრაციული წარმოების მასალების გაცნობა - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახური (მის: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. №25, პირველი სართული, ტელ: 27 26 28).

ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მოკლე შინაარსი - საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა - 3 (სსზ-3) წარმოადგენს განაშენიანების მაღალი ინტენსივობის ზონას, სადაც წარმოდგენილი ცვლილებების თანახმად მიწის ნაკვეთზე განაშენიანების მაქსიმალური სიმაღლე უნდა განისაზღვროს 12 მეტრით; ამ ზონაში არსებულ მიწის ნაკვეთზე განაშენიანების მაქსიმალური სიმაღლის შემცირება 15 მეტრიდან 12 მეტრომდე ხელს შეუწყობს ძველი ბათუმის ტერიტორიის განაშენიანებას პროცესების უკეთესი მიმართულებით განვითარების უზრუნველყოფას.

საკუთარი მოსაზრებების წარდგენის ვადა - დადგენილების პროექტის თაობაზე მოსაზრებების წარდგენის ვადა განისაზღვრა დადგენილების პროექტისა და ადმინისტრაციული წარმოების შესახებ ცნობის გამოქვეყნებიდან 20 დღის ვადაში.

ასლის
დამოწმება
№1